



5.02.2020

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ ეროვნულის ბანკის მონეტარული პოლიტიკის მორიგ ანგარიშს და ვისაუბრებ მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებისა და პროგნოზების შესახებ.

მსმენელს შევახსენებ, რომ ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყანაში საშუალოვადიან პერიოდში 3%-იანი ინფლაციის არსებობას გულისხმობს. ფასების სტაბილურობა კი აუცილებელია ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისა და მაღალი დასაქმების მისაღწევად.

წინასწარი მონაცემებით, 2019 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 5.2 პროცენტი შეადგინა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია. ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ექსპორტის, განსაკუთრებით ტურიზმის ზრდას, რასაც კონკურენტული გაცვლითი კურსის შენარჩუნებამაც შეუწყო ხელი. ეკონომიკის ზრდაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაკრედიტების მაღალი ზრდაც. რუსეთიდან ავიამიმოსვლის აკრძალვამ ტურისტულ სექტორზე უარყოფითი გავლენა მოახდინა, თუმცა ეს დანაკლისი სხვა ქვეყნებიდან შემოსულ ვიზიტორთა მატებით დაბალანსდა. კვლავ პოზიტიურია საგარეო ვაჭრობისა და ფულადი გზავნილების დინამიკა. ეს ყველაფერი, როგორც გრაფიკზეა ნაჩვენები, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაუმჯობესებაზე აისახება. 2019 წლის მესამე კვარტალში, გასული წლის იმავე პერიოდის მსგავსად, მიმდინარე ანგარიშის პროფიციტი დაფიქსირდა. ჩვენი პროგნოზით, 2019 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მთლიანი შიდა პროდუქტის 5%-ზე ნაკლები იქნება, რაც ისტორიული მინიმუმია. მნიშვნელოვანია, რომ ბოლო წლების ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდეს, არ იყოს დროებითი ხასიათის და მდგრად დონეზე დასტაბილურდეს. მაკროეკონომიკური გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი მიმდინარე ანგარიშია და მისი გაუმჯობესება როგორც საგარეო, ასევე შიდა ინვესტორების განწყობაზე დადებითად გავლენას ახდენს.

როგორც მოგეხსენებათ, გასული წლის მარტიდან ინფლაციამ მიზნობრივ მაჩვენებელს გადააჭარბა და წლის ბოლოს 7% შეადგინა. წლის დასაწყისში ინფლაციის ზრდა ძირითადად აქციზის გადასახადის მატების გამო სიგარეტის გამვირებამ განაპირობა. წლის მეორე ნახევარში კი ამას დაემატა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გაუფასურებით გამოწვეული ზეწოლა. როგორც მოსალოდნელი იყო, იანვარში ინფლაციამ შემცირება დაიწყო და 6.4% შეადგინა. ინფლაციის არსებულ მაჩვენებელში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი, 3.6 პროცენტული პუნქტი, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე მოდის.

ნომინალური ეფექტური კურსის გაუფასურებიდან ინფლაციაზე მიმდინარე წნეხის გასაწეიტრალეზლად მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი გასული წლის მეორე ნახევარში

6.5-დან 9.0 პროცენტამდე გაზარდეთ. ამასთან, აღვნიშნავდით, რომ ჩვენი შემდგომი გადაწყვეტილებები დამოკიდებული იქნებოდა იმ გარემოებაზე, თუ რამდენად სწრაფად ამოიწურებოდა გაცვლითი კურსის გაუფასურების ეფექტი ფასებზე. პოლიტიკის გამკაცრებამ ინფლაციაზე წნეხის შენელებას შეუწყო ხელი. ამის გათვალისწინებით, 29 იანვრის სხდომაზე პოლიტიკის განაკვეთი უცვლელად დავტოვეთ. თუმცა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი ჯერ კიდევ გაუფასურებულ დონეზე რჩება. ბოლო პერიოდში დაჩქარდა ეკონომიკის დაკრედიტება და შედეგად ეკონომიკური ზრდაც. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტენდენცია დამატებით ინფლაციურ წნეხს შექმნის, ეს შეიძლება მკაცრი მონეტარული პოლიტიკის უფრო ხანგრძლივად შენარჩუნების წინაპირობაც გახდეს. ამასთან, კვლავ ვიმეორებ, რომ გრაფიკზე მოცემული ტრაექტორია არ არის დაპირება, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ დღეს არსებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული ხედვა და ახალი ფაქტორების გამოვლენასთან ერთად პროგნოზი შესაძლოა გადაიხედოს.

რაც შეეხება ინფლაციას, მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება მასზე ეტაპობრივად აისახება და მის შემცირებას განაპირობებს. პროგნოზის მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაცია მიმდინარე წლის განმავლობაში შემცირებას განაგრძობს და წლის ბოლოსთვის მიზნობრივ მაჩვენებელს მიუახლოვდება. საშუალოვადიან პერიოდში კი ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს შენარჩუნდება.

ასევე შეგახსენებთ, რომ 2018 წლიდან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში 3 პროცენტია. საშუალოვადიანი პერიოდისთვის ხაზგასმას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან შოკები მუდმივად ხდება და ინფლაციაც თითქმის ყოველთვის განსხვავებული იქნება მიზნობრივი დონისგან: სწორედ ამას გვიჩვენებს ეს გრაფიკიც სხვადასხვა დროს ის შეიძლება იყოს მიზნობრივი მაჩვენებლის ზემოთ ან ქვემოთ, თუმცა, ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში ის ყოველთვის მიზნობრივი მაჩვენებლისაკენ იმოდრავებს. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არ ნიშნავს ინფლაციის მაქსიმალურ დონეს ან ინფლაციის ლიმიტს. რომ დავაზუსტო, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი არის 3 პროცენტი, ჩვენ არ ვგულისხმობთ ინფლაციას ნულიდან სამ პროცენტამდე, არამედ ვგულისხმობთ საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციას 3 პროცენტთან ახლოს - ზოგჯერ მის ზემოთ და ზოგჯერ მის ქვემოთ. ინფლაციის თარგეთირების რეჟიმში ფასების სტაბილურობა ყველაზე ნაკლები საზოგადოებრივი დანახარჯებით მიიღწევა, ხოლო გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, სხვა ალტერნატიულ რეჟიმებთან შედარებით, ყველაზე მაღალი და მდგრადია.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. პროგნოზებსა და შეფასებებს დაინტერესებულ საზოგადოებას მონეტარული პოლიტიკის განახლებულ ანგარიშში წარვუდგენთ.

გმადლობთ ყურადღებისათვის!